საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
მერია

ქ. წალენჯიხა 10 / დეკემბერი / 2021 წ.

5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.#5. ტელ: 571 17–00–17 599 85-72-20
5200 K.Salia st. #5. Tsalenjikha,Georgia Tel: 571 17–00–17 599 85-72-20
www. tsalenjikha.gov.ge E-mail. tsalenjikhameria@tsalenjikha.gov.ge

KA000087640066621

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება № 2-1/497

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თავისუფლებათა ქარტიის (საზოგადოებრივი თანამშრომლობის მექანიზმები) დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1_ლი პუნქტის „ე.ვ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 85-ე მუხლის 1_ლი, მე-2, მე-5 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე, 53-ე და 54-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის გაძლიერებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების, მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, გადაწყვეტის მიზნით, დამტკიცდეს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თავისუფლებათა ქარტია (საზოგადოებრივი თანამშრომლობის მექანიზმები)“ დანართი N1-ის შესაბამისად;

2.წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრული საზოგადოებრივი თანამშრომლობის მექანიზმების გამართული ფუნქციონირებისათვის, საჭირო ორგანიზაციული და სხვა საკითხების მოწესრიგება განხორციელდეს, დანართი N2-ით გათვალისწინებული, გრაფიკის შესაბამისად;

3.ადგილობრივ თვითმმართველობაში თანამონაწილეობისა და საზოგადოებრივი თანამშრომლობის მექანიზმების ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, შეიქმნას „საზოგადოებრივი საბჭო" დანართი N3-ის შესაბამისად;

4.ბრძანების შესრულებაზე კონტროლი და განსახორციელებელი ღონისძიებების ხელშეწყობა დაევალოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - თამარ ბელქანიას;

5.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).